თბილისის XXXV საქალაქო პარტიული კონფერენცია

რეგიონული ბიბლიოთეკა

5 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXV საქალაქო კონფერენცია.

დილის 10 საათია. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. გ. გილაშვილი** XXXV საქალაქო პარტიულ კონფერენციას გახსნილად აცხადებს. ირჩევენ კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოებს: საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სამდივნოს.

დელეგატებმა დიდი აღმავლობით, ერთსულოვნად, შეუხარე, ხანგრძლივი ტაშით კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

ერთხმად ამტკიცებენ კონფერენციის მუშაობის შემდეგ დღის წესრიგს:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში.

2. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა;

ბ) საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიისა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პ. გ. გილაშვილი.**

შემდეგ მოსმენილ იქნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ **ო. ტ. ჩინჩალაძემ.**

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ალავიძე,** აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქვეოსტატი **ვ. გეგეშიძე,** პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ჩიკვაიძე,** დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანი **რ. ბუგიანიშვილი,** სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ჯანჯღავა,** ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **გ. ბაკურაძე,** პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი **ა. აზიროვი** და სხვ.

კონფერენციამ მოისმინა და დამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც წაიკითხა ამ კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ვ. კობახიძემ.**

გრძელდებოდა კამათი საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო, რომელშიც მონაწილეობდნენ: ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი **გ. გაჩეჩილაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **გ. აბაშიძე,** საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე **ს. გამრეკელი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ლობჟანიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი **ა. ალექსიძე,** პარტიის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი **გ. გაბუნია,** „მთავართბილისმშენის“ უფროსი **ბ. ზატუაშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ნ. ჯანაშია,** ფოლადთუჯასსმელი ქარხნის დირექტორი **თ. პაიჭაძე.**

კონფერენციაზე გამოქვეყნდა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც თბილისის XXXV საქალაქო პარტიულ კონფერენციას გამოუგზავნეს სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტმა და აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს 41-ე საქალაქო კონფერენციამ.

6 თებერვლის დილის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი **მ. მეგრელიშვილი,** ძველი ბოლშევიკი, პროფესორი **ნ. მახარაძე,** პარტიის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი **ნ. ნეფედოვი,** „თბილგვირაბმშენის“ ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. დათაშვილი,** კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ენდელაძე,** კერამიკული კომბინატის მუშა **ლ. შევჩენკო,** პარტიის საკარხნო რაიკომის პირველი მდივანი **რ. გოგლიძე** და ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი **ა. ძიძიგური.**

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე.**

თბილისის საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ ცხადყო, რომ საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები, ყველა მშრომელი მონოლითურად არიან შეკავშირებული ლენინური პარტიის გარშემო, მზად არიან მთელი ძალ-ღონე მოახმარონ კომუნისტური მშენებლობის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისთვის ბრძოლას.

ამით საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXV კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

დელეგატები ფეხზე ამდგარნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“ (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



1974 წ.

№ 28 (5058)

9 თებერვალი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1944 წლის 18 აპრილიდან

აღდგენილი ავტორიტეტი

ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამბისტები სამართლიანად იკავებენ საპატიო ადგილებს არა მარტო შეიარაღებული ძალების პირველობებში, არამედ საკავშირო ჩემპიონატებშიც. მათ არაერთგზის უსახელებიათ თავი და გამარჯვებული დაბრუნებულან შეიარაღებული ძალების სპორტსმენთა ტურნირებიდან, ხოლო 1969 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატში III ადგილიც დასაკუთრეს.

მაგრამ შარშან შეიარაღებული ძალების პირველობაში ამიერკავკასიელმა სამბისტებმა ტრადიციას უღალატეს და მათთვის შეუფერებელ VI ადგილზე დარჩნენ. მართალია, გუნდს ჰქონდა გასამართლებელი საბუთიც (ნაკრების წევრთა უმრავლესობა ავად იყო), მაგრამ მაინც ჩანდა, რომ სპორტსმენთა ერთი ნაწილი სერიოზულად არ მომზადებულა ტურნირისთვის. წლევანდელ შეჯიბრებაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებს დაკარგული პრესტიჟი უნდა აღედგინათ.

ამ რამდენიმე დღის წინათ ისინი როსტოვში შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატის სარბიელზე გამოვიდნენ. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ს. ჩიტაშვილმა, რომელიც მსგავსი ასპარეზობის ხუთგზის ჩემპიონი და საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორია, გაითვალისწინა ყველა შარშანდელი შეცდომა. გუნდი მზადებას როსტოვის ტურნირის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეუდგა. მართლაც, სპორტსმენებს ესჭიროებოდათ არა მარტო ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიურ-მორალური მომზადებაც.

უნდა ითქვას, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ ამ რთულ ამოცანას ჩინებულად გაართვა თავი, რაზეც სპორტსმენთა წარმატებაც მეტყველებს. როსტოვში გამართულ პირველობაში ამიერკავკასიის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. თანაც, გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც: უახლოეს მეტოქეს — კიევის სამხედრო ოლქის გუნდს მათ 38 ქულით გაუსწრეს.

პირად შეჯიბრებაში ნ. სახლთუხუცესმა (62 კგ) 5 შეხვედრიდან 4 წმინდად მოიგო და ჩემპიონის სახელიც მოიპოვა. ასევე ჩინებულად იასპარეზა ა. ოქროპირიძემ (74 კგ), რომელმაც შვიდი ორთაბრძოლიდან ყველა მოიგო.

II ადგილი დაისაკუთრა გ. ყაყიჩაშვილმა (57 კგ), ხოლო რ. ოდიშელიძე სამსეგმენტიანი იყო.

სამწუხაროდ, შეჯიბრებაში ტრავმის გამო ვერ გამოვიდა ს. ფეიქრიშვილი, რომელიც სპეციალისტებს ფავორიტად მიაჩნდათ.

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამბისტებმა დაკარგული პრესტიჟი აღიდგინეს. ამასთან, შეიარაღებული ძალების ნაკრებში მოხვდა მათი 9 წარმომადგენელი, რომლებიც 20 თებერვლიდან შეუდგებიან წვრთნას, ხოლო 12-17 მარტს მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ჩემპიონატში.

ა. გურული.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატში გამარჯვებული ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამბისტთა გუნდი. დგანან (მარცხნიდან) — გ. კახაბრიშვილი (მწვრთნელი), ბ. გულიშვილი, გ. ყაყიჩაშვილი, ჯ. ხორბალაძე, ს. ფეიქრიშვილი, ა. ოქროპირიძე, ს. ჩიტაშვილი (უფროსი მწვრთნელი); პირველ რიგში — ა. კელიხაშვილი, რ. ქაიხოსროშვილი, რ. ოდიშელიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ამერიკელები ისევ დამარცხდნენ

კიევი, 6 თებერვალი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში გაიმართა აშშ-სა და უკრაინის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში. 5 ათასზე მეტი მაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ბრძოლებს, რომლებმაც საბოლოო ჯამში წარმატება უკრაინელებს მოუტანა — 13:5.

სტუმრების ნაკრებმა ქვესაშუალო წონაში მონაწილე ვერ გამოიყვანა.

სპეციალისტების აღიარებით, ყველაზე მძაფრი და დაძაბული გამოდგა მსოფლიო ჩემპიონ ლ. კიზერის შეხვედრა ახალგაზრდა მოჭიდავესთან, მსოფლიო თასის გათამაშების პრიზიორ პ. პინეგინთან. დასაწყისში უპირატესობა უკრაინელის მხარეს იყო, რომელიც დაწინაურდა ანგარიშით 3:1. მაგრამ შემდგომში მსოფლიო ჩემპიონმა გამოიკეთა მდგომარეობა — 4:3. ახლა უკვე პინეგინს მოუხდა ზრუნვა შეხვედრის გადასარჩენად. მან მიაღწია კიდეც საწადელს, ოღონდ ბოლო წამებზე — ფრე.

მიუნპენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ჯ. პიტერსონის მეტოქე იყო სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ვ. პოტაპენკო. უკრაინელმა თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზა გამოცდილ მეტოქეს და დაწინაურდა. სულ მალე ანგარიში გახდა 9:1 პოტაპენკოს სასარგებლოდ. მაგრამ პიტერსონი საკმაოდ ჯიუტი მებრძოლი გამოდგა. მესამე პერიოდში მან 6 ქულა აართვა მეტოქეს და დრო რომ არ ამოწურულიყო, შესაძლოა მოეგო კიდეც.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. გულიუტკინმა უბრძოლველად მიიღო ქულა. მისი მეტოქე ბ. დიდრიხი საჭიდაოდ არ გამოცხადდა.

დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ბ. ჰოლმსი დამარცხდა მ. ნოგოვიცინთან 2:13, ს. გონზალესი — ტ. ფაშაევთან 4:11, ი. გეჩრმ მოუგო რ. ნურმანოვს 22:3, ვ. ჩერტკოვმა — ლ. მორგანს 9:6, რ. ჰელიკსონმა — ა. ატამანოვს 4:3, ბ. ბიგაევმა — მ. მაკ-გრედის 13:3.

აშშ-ს მოჭიდავეებს დასკვნითი შეხვედრა მინსკში ჰქონდათ 8 თებერვალს.

პრეზიდენტთა მატჩები

მეკინგი — კორჩნოი 0:2

ოგასტა (აშშ). 6 და 7 თებერვალს მეკინგი—კორჩნოის მატჩში X და XI პარტიები გათამაშდა.

ფინიშის მოახლოება (მატჩში მხოლოდ 16 პარტია შეიძლება გათამაშდეს) გულს არ უტეხს ახალგაზრდა ბრაზილიელ დიდოსტატს, რომელიც შეუპოვრად იბრძვის. კორჩნოიმ ბოლო შეხვედრებში ვერ დაძლია მისი გაფორებული წინააღმდეგობა და ამიტომ ყაიმებს სჯერდება. მეტოქენი X და XI პარტიებშიც დაზავდნენ.

სათამაშო დარჩა ხუთი პარტია. XII პარტია შაბათს გაიმართება.

ჭადრაკის გულშემატკივართა საყურადღებოდ!

ქალთა შორის სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი მ. რანიკუსა (ტალინი) და მ. ჩიბურდანიძეს (თბილისი) შორის, რომელიც გუშინ მოსკოვში დაიწყო, დიდ ინტერესს იწვევს. ეს გაითვალისწინა თბილისის ჭადრაკის სასახლის (ლენინის ქ. № 37) დირექციამ და გადაწყვიტა ამ მატჩის პარტიების მსვლელობა იმავე საღამოს აჩვენოს.

პარტიების დემონსტრირება მოხდება 9, 10 და 11 თებერვალს 19 საათიდან. თამაშს კომენტარს გაუკეთებენ ცნობილი ოსტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლესიო მოგვითხრობს

ჩვენს ქვეყანაში

მასობრივი სტარტები შორეულ აღმოსავლეთში

ვლადივოსტოკი. ზღვისპირეთის მხარეში გაიშალა მასობრივი შეჯიბრებები სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის დროშით. სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის“ პროფკავშირულ-კომკავშირულ კრაზში პირველობა ვლადივოსტოკის საზღვაო-სავაჭრო პორტის სპორტსმენებმა მოიპოვეს. 10 და 15 კმ-ზე პირად ჩათვლაში ყველას აჯობა გ. მორევმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა... ნიჰობსნობაში.

რბოლაში შეჯიბრებები ჩაატარეს „სპარტაკისა“ და „ტრუდის“ ფიზკულტურული კოლექტივების მოთხილამურეებმა, სტუდენტებმა. ამ დღეებში ასობით მოსწავლე ესტუმრა უსურიის ტაიგისა და სიხოტე-ალინის ქედის მისადგომებთან მდებარე ტურისტულ ბაზებს. შეჯიბრების ბევრმა მონაწილემ სათხილამურო სპორტში მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა.

ვ. კლიმენტიევი.

მშდ და სოციალისტური შეჯიბრება

კრასნოიარსკი. სათხილამურო სპორტი, ბურთიანი და შაიბიანი ჰოკეი, სლალომი, ციგურაობა, ციგაობა — აი, ის სახეობები, რომლებშიც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის დროშით ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ ქალაქის ბევრი საწარმოს მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები. ყველაზე მეტად აქტიურობენ ალუმინის ქარხნის სპორტსმენები, რომლებმაც სოფელ ბუზიმის შემოგარენში აიგეს სათხილამურო ბაზა, მოაწყეს მუდმივი ტრასა რბოლისთვის. ამ ტრასაზე მეტალურგები ყოველ დასვენების დღეს აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

სათხილამურო ბაზის გარდა, მეტალურგებმა სასპარტაკიადო სტარტებისთვის ააგეს ახალი დიდი სტადიონი, რომელსაც აქვს 5000-ადგილიანი ტრიბუნები, შესანიშნავი ჰოკეის მოედანი, საციგურაო ბილიკი.

ალუმინის ქარხანაში საამქროებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებასაც ითვალისწინებენ. მშდ კომპლექსის საბოლოო ნიშნები უკვე 2000 მეტალურგს გადაეცა.

ა. ზჩიგლენკო.

ესტონელ რკინიგზელთა სარბიელი

ტალინი. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ესტონეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის ჰ. იუბანსონის აზრით, ესტონელებს დიდი შანსი აქვთ ბალტიისპირეთის რკინიგზის ზამთრის სპარტაკიადაში გამარჯვებისა. მართლაც, ისინი სამი წელია პირველობას არ თმობენ.

თავმჯდომარეს ოპტიმისტური განცხადების საფუძველს აძლევს რკინიგზის ესტონეთის განყოფილების სპარტაკიადის მეორე ეტაპის ფინალური შეჯიბრებები, რომლებშიც ასზე მეტი მოთხილამურე მონაწილეობდა.

ამინდმა ხელი არ შეუწყო სპორტსმენებს. ჰაერის ტემპერატურა 0-დან პლუს 4-მდე მერყეობდა, თოვლი რბილი იყო, ფხვიერი. მაგრამ ასეთ პირობებშიც კი ყველამ ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები, ხოლო მონაწილეთა ნახევარმა სათადარიგო მოთხოვნებიც შეასრულა. პირად ჩათვლაში პირველობდნენ ზამთრის სპარტაკიადის ლიდერები: ლ. ტამი, ვ. და ე. კეხკიულები.

განსაკუთრებით პოპულარულია სათხილამურო სპორტი ტალინის რკინიგზის კვანძის თანამშრომელთა შორის.

შარშან 500 ესტონელი მოთხილამურე გახდა მშდ კომპლექსის ნიშნოსანი. წლეულს ალბათ ეს რიცხვი ორჯერ მაინც გაიზრდება.

ვ. იუოვი.

მშდ ტაიგის ტუალეტში

ვოლოგდა. სპარტაკიადის სათხილამურო ტრასა გაუვანილია ვოლოგდის ოლქის ბერსენიევის ტუალეტამდე.

კვირა დღეს ტაიგაში მოწყობილ ტრასაზე გამოვიდნენ ექვსი ადგილობრივი ფიზკულტურული კოლექტივის სპორტსმენები. ტუალეტმრელები და მათი ოჯახის წევრები მშდ კომპლექსის ნორმატივებს აბარებდნენ. სარბიელზე თითქმის ყველა ასაკის ხალხი გამოვიდა. ცხრამეტმა ფიზკულტურელმა ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა ნორმატივები, სამმა კი ვერცხლის ნიშნები დაიმსახურა. რვა მონაწილემ II სპორტული თანრიგი დაამტკიცა, ექვსმა — III.

წარმატების საწინდარი

დონეცკი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ მანეჟში ორ დღეს გაგრძელდა სტუდენტთა საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში „ზამთრის არდადეგების“ პრიზზე.

დამაჯერებლად გაიმარჯვა უკრაინის ნაკრებმა. კერძოდ, კვლავ გამოიჩინეს თავი ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. ამ უმაღლესი სასწავლებლის პედიატრიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა მ. გუსევმა ჭოკით ხტომაში სსრ კავშირში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა დახურული შენობებისთვის — 530 სმ. მან 4 სანტიმეტრით გაუსწრო თავისივე პირადი მიღწევა, რომელიც ორი წლის წინათ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა მატჩში დაამყარა. წარმატებით გამოვიდნენ სხვა ლვოველებიც: მორბენლები — ვ. გუძი, ნ. კაშუბა, ვ. დარმორიზი...

ამ ინსტიტუტში სპორტში 3500-ზე მეტი სტუდენტია ჩაბმული. ლვოველ სტუდენტთა გუნდები ქვეყნის სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების პირველობათა პრიზიორები და ჩემპიონები არიან. მასობრივმა მზადებამ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად კარგი სპორტული რეზერვები გამოავლინა. მარტო შარშან 830 კაცი გახდა ამ კომპლექსის ნიშნოსანი.

ინსტიტუტში სექტემბერშივე იწყება სპარტაკიადები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. ეს მასობრივი სტარტები წარმატების საწინდარია რესპუბლიკის ნაკრების სხვა წევრებისთვის — კიევის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური და ზაპოროჟიეს პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვისაც.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო უმაღლესი სასწავლებლების 23 სპორტკლუბმაც. აქ გაიმარჯვეს მოსკოვის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა.

მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში კარგი შედეგები აჩვენეს: მ. ფროლოვმა (იაზახეთი) სიმაღლეზე ხტომაში — 215 სმ, ვ. შევჩენკომ (მოსკოვი) სამხტომში — 16,48, ნ. გავრილოვამ (ლენინგრადი) სიგრძეზე ხტომაში — 628 სმ, ვ. იაროვენკომ (უკრაინა) 1500 მეტრზე რბენაში — 3.47,4.

ლატვიის სსრ. პრეკულეს № 2 სასოფლო-პროფტექნიკურმა სასწავლებელმა სოფლის მეურნეობის 12 ათასი სპეციალისტი აღზარდა. ახლა ამ სასწავლებელში 540 ვაბუკი და ქალიშვილი სწავლობს. მათს განკარგულებაშია კარგად მოწყობილი სახელოსნოები და კაბინეტები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები. კურსდამთავრებულები მექანიზატორის დიპლომთან ერთად საშუალო განათლების ატესტატსაც ღებულობენ.

მოსწავლეთა ცხოვრება მრავალფეროვანი და საინტერესოა. ამ სასწავლებლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები რესპუბლიკური კონკურსების მრავალგზის ლაურეატები არიან.

* * *

სურათზე: მოსწავლეები აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

ი. უიტლუხინის ფოტო.

ინსტიტუტებს შორის პირველი



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ამ სისტემის სასწავლებლების საკავშირო პირველობა სამბოში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 19 უმაღლესი სასწავლებელი. ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდიოდა ორი კოლექტივი: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტების გუნდები.

კარგად მომზადებული მოჭიდავეები ჰყავდათ მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, დნეპროპეტროვსკის, ბაშკირეთისა და მინსკის გუნდებს. რა შეიძლება ითქვას ტურნირის სხვა მონაწილეებზე?

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ სოხუმელთა უსუსური გამოსვლა. ჯერ ერთი, მათ თბილისში არასრული გუნდი ჩამოიყვანეს და, შემდეგ, მონაწილეთა უმეტესობა აშკარად მოუმზადებელი იყო.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს მასპინძლებმა — საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი ი. შოშიტაშვილი), თბილისელებმა გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრეს და გარდამავალი თასიც მიიღეს. II ადგილზე გავიდა დნეპროპეტროვსკის კოლექტივი, რომელსაც წვრთნის ჩვენი თანამემამულე ა. მეტრეველი.

საქართველოს მოჭიდავეთაგან ჩემპიონები გახდნენ: დ. ნავაძე, თ. წითელაური და ა. ობგაიძე. ამ უკანასკნელმა სპეციალური პრიზიც მიიღო საუკეთესო ტექნიკისთვის. II ადგილებზე გავიდნენ ჩ. ქუცნაშვილი, კ. გიორგაშვილი, რ. ყორღანაშვილი და ნ. ხორგუაშვილი.

რ. საბინაშვილი.

* * *

სურათზე: რ. ყორღანაშვილი (ქვევით) ილეთს უტარებს მეტოქეს.

ავტორის ფოტო.

ეძღვნება საზეიმოვან ქართველ მთამსვლელს

ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა პატარა კრებული, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა. წიგნი, რომელიც სულ 5000 ცალი დაისტამბა, სწრაფად გაქრა მაღაზიის თაროებიდან.

კრებული გამოჩენილ ქართველ მთამსვლელს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სამჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონ მიხეილ ხერგიანს ეძღვნება. წიგნში შესულ ნარკვევებში ასახულია ამ გამოჩენილი ადამიანის პიროვნება, მისი შინაგანი სამყარო, სპორტული მიღწევები და ურთიერთობა მთასთან, რომელიც ცნობილ სპორტსმენს უკანასკნელ წუთამდე წმიდათაწმიდად მიაჩნდა.

შესავალში ლაკონიურად, მიმზიდველადაა გადმოცემული მიხეილ ხერგიანის სპორტული ბიოგრაფია.

ნარკვევში „უშბის სარკე“ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე ოთარ გიგინეიშვილი საინტერესოდ აღწერს ქართველ ალპინისტთა იმ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც წინ უსწრებდა მიხეილ ხერგიანისა და მისი ჯგუფის ასვლას უშბაზე უმაღლესი, მეექვსე კატეგორიის სირთულის გზით.

მკითხველის ინტერესს იწვევს ავთანდილ ციბაძის მხატვრული ნარკვევი „ვეფხვი კლდით გადმოეკიდა“ და მირონ ხერგიანის მოკლე რეპორტაჟი იალტის მეკლდეურთა საკავშირო ჩემპიონატიდან.

„წინაპართა ნაკვალევზე“ — ასე ეწოდება დენიზა გოზალიშვილის ნარკვევს, რომელშიც გადმოცემულია ხერგიანების ოჯახის მდიდარი ალპინისტური ტრადიციები. ინტერესით იკითხება მთამსვლელი ქალის ლუიზა ნარიმანაშვილის „უშბის დღიურები“, რომელიც ეძღვნება კომკავშირის 50-ე წლისთავზე ჩატარებულ უმაგალითო ალპინიადას უშბაზე.

„თენსინგი ვაჟკაცთა შორის“ — ასე უწოდა გამოჩენილმა ინგლისელმა მთამსვლელმა, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ჯომოლუნგმის დამპყრობი პირველი ექსპედიციის ხელმძღვანელმა ლორდმა ჯონ ჰანტმა მიხეილ ხერგიანს მასზე დაწერილ ნეკროლოგში, რომელიც ინგლისის მთამსვლელთა ჟურნალში დაიბეჭდა. კრებულში ეს ნეკროლოგიცაა შეტანილი.

აკაკი გელოვანის „ედელვაისის სამეფოს რაინდში“ პოეტურადაა გადმოცემული მიხეილ ხერგიანის პიროვნება.

კრებულში შეტანილია სლავა ონიშჩენკოს წერილი „ჩემი მეგობარი მიშა“, საერთაშორისო სპორტის ოსტატი, პროფესიით ექიმი ს. ონიშჩენკო ბოლო წლებში მიხეილ ხერგიანის მეწყვილე იყო რთულ ასვლებში. ამ წერილში იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ასვლას სუ-ალტოზე იტალიის დოლომიტებში და იმ ტრაგიკულ მომენტს, რომლითაც თავისი მოკლე, მაგრამ ვაჟკაცური და ლამაზი ცხოვრება დაამთავრა ცნობილმა ქართველმა მთამსვლელმა.

წიგნის რედაქტორია დ. იუკურიძე.

სპორტსა და სნაპვლაში გატარებული დღეები

გინ მოთვლის ხევსური გლეხის გასაჭირს. ყველაფერი მისი წინააღმდეგი იყო: უგზოობა, მკაცრი ბუნება, მოსაზღვრე ქისტების შემოსევა. ხევსური ხომ სულ აბჯარასხმული უნდა ყოფილიყო ცოლ-შვილისა და მამულის დასაცავად. მიუხედავად ამდენი გასაჭირისა, ის მაინც მოაში ცხოვრებას არჩევდა, რადგან ქედმაღალ და ამაყ მებატონეს ვერ შეეგუებოდა.

მერე ხევსურეთში მოვიდა ბალშთა თანასწორუფლებიანობის ამბავი. მაშინ კი ბევრმა გადაწყვიტა წამოსულიყო ბარში და ეცხოვრა ისე, როგორც აქ ცხოვრობენ. გამონაკლისი არც ივანე არაბულის შვილები იყვნენ. ისინი თიანეთის რაიონის სოფელ ნადოკარაში ჩამოსახლდნენ. ივანეც იქ გაიზარდა და დაეკაცდა, ცოლი შეირთო და ორი ქალიშვილიც შეეძინა. მაგრამ ოჯახმა ყველაზე მეტად მაშინ გაიხარა, როცა ბიჭი შეეძატა. პატარა ბიჭს თენგიზი დაარქვეს. თენგიზი ოთხი თვისა იყო, როცა ივანეს მეუღლე გარდაეცვალა. გასაჭირში ჩავარდნილმა ივანემ ცოლისდას სთხოვა, თენგიზს შენ მოუარე, გოგონებს კი მე ვუპატრონებო.

გადიოდა წლები. მამა დღე და ღამეს ასწორებდა, რომ არაფერი მოეკლო ობლებისთვის, არც მას ჰქონია დიდი დღე. თენგიზი 12 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა და მხოლოდ დების იმედზე დარჩა. დები თბილისში გადმოსახლდნენ და ძმაც თან წამოიყვანეს, აქ თვითონ მუშაობა დაიწყეს, თენგიზი კი № 6 პროფტექნიკურ სასწავლებელში მიაბარეს.

თენგიზს გულიც ერჩოდა და ძალაც, რაინდთა შთამომავალს უნდოდა სპორტის რაინდული სახეობა აერჩია და ჭიდაობაში დაიწყო ვარჯიში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ილია ტლაშაძის ხელმძღვანელობით. გამოცდილი პედაგოგის თვალს არ გამოპარვია თენგიზის დიდი შრომის უნარი, მისი გამბედაობა.

მთიელ ბიჭს თავიდან გაუჭირდა ქალაქში სწავლა და ვარჯიში, მაგრამ უკან დასახევი გზა არა ჰქონდა, დაწყებული საქმის მიტოვება ვაჟკაცისთვის სათაკილოდ მიაჩნდა. გადიოდა წლები. თენგიზი ჭიდაობა სამბოს ტექნიკას ეუფლებოდა და პირველ წარმატებასაც მიაღწია, როცა საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მაგრამ მისი სურვილი სულ სხვა იყო, უნდოდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ფალავნებთან გამოეცადა მკლავის ძალა. თენგიზმა მწვრთნელთან ერთად გადაწყვიტა 1957 წელს ლენინგრადში საკავშირო პირველობაში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ შეჯიბრებისთვის მცირეწლოვანი აღმოჩნდა. მისი სარბიელზე დაშვება შეიძლებოდა მხოლოდ მწვრთნელისა და ექიმის სპეციალური ნებართვით, რომელიც გამოცდილ პედაგოგს სხვა საბუთებთან ერთად თან წაეღო. ხევსური ჭაბუკი შეხვედრის შეხვედრაზე იგებდა. მისმა გაბედულმა ჭიდაობამ სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ფინალში კი მაინც თავი იჩინა გამოუცდელობამ და თენგიზი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ეს შედეგი დიდი წარმატება იყო ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, მაგრამ თენგიზი მაინც უკმაყოფილო იყო.

მერე კი... ახალგაზრდა სპორტსმენი ტექნიკას ხვეწდა და გამოცდილებას იძენდა. 1961 წელს საბჭოთა კავშირის პირველობა უნდა ჩატარებულიყო ხმ ქალაქში, რომელშაც პატარა მთიელ ობლებს — თენგიზსა და მის დებს გულთბილად გაუღო კარი. თენგიზმა იფიქრა, ოჯახის მეშვეობით უნდა გაიგებინებდა ბატონებსა და ქალს, ვინც დამბარების ხელი გამომიწოდაო. იფიქრა და მიაღწია კიდეც საწადელს — საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. პერსპექტიული ჭაბუკი სამბოს ბაზაზე ახალშექმნილ ძიუდოს ნაკრებ გუნდში ჩარიცხეს. თენგიზმა რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, უნდოდა ძიუდოშიც ეცადა ძალა, მაგრამ მძიმედ დამავდა და ორი წლით ჩამოსცილდა სპორტს. განკურნების შემდეგ, 1966 წელს ისევ დაუბრუნდა სარბიელს და საქართველოს ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა. მერე კი გადაწყვიტა ახალგაზრდა თაობის აღზრდისთვის მოეკიდა ხელი.

1967 წლიდან დღემდე თენგიზ არაბული ახალგაზრდა მოჭიდავეებს ზრდის და ამ ხნის მანძილზე წარმატებასაც მიაღწია. თენგიზის მოწაფეებია საბჭოთა კავშირის 1971 წლის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში და ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ახალგაზრდებს შორის ძიუდოში რ. ხარშილაძე, ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ძიუდოში ტ. ციხაძე და სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი სამბოში ჭაბუკთა შორის, პოლონეთის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი ნ. სიდამონიძე. ამ წარმატებებისთვის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა თენგიზ არაბულმა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც მიიღო.

თენგიზს თავისი ცხოვრება მარტო ჭიდაობით არ შემოუფარგლავს. პროფტექნიკური სასწავლებლის შემდეგ მან ინდუსტრიული ტექნიკუმიც დაამთავრა, მერე კი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ახლა იგი სტუდენტიცაა, მაგრამ არც შრომას ივიწყებს.

სპორტულ სარბიელზე კი... თენგიზ არაბულის გზას ალბათ მისი მოწაფეები გააგრძელებენ.

ხ. წიკლაური.

* * *

სურათზე: თ. არაბული ხაბიბისტთა თბილისის საკავშირო ჩემპიონატის დღეებში.

თასი რომ შეჯიბრებულ...

ლლეს ლვოვში გამოვლინდება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის მფლობელი კლასიკურ ჭიდაობაში. გარეგნულად ეს ტურნირი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დაიწყო, არაფრით განსხვავდება სხვა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობებისგან. ასპარეზობაში მონაწილეობენ ქალაქები, სადაც განსაკუთრებით პოპულარულია კლასიკური ჭიდაობა და მაღალი კლასის ოსტატებიც არიან.

მაგრამ... ამ შეჯიბრების შედეგებს მაინც უფრო დიდი ინტერესით ელიან ყველგან და ყველაზე მეტად — თბილისში. საქმე ისაა, რომ გამარჯვებულ კოლექტივს უფლება ეძლევა სსრ კავშირის ღირსება დაიცვას ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

ამ საპატიო ჯილდოს გათამაშებას საფუძველი შარშან ჩაეყარა და პრიზი სპორტული სეზონის მიწურულს თბილისის „დინამომ“ დაისაკუთრა. ცხადია, თასის სამშობლოში (თბილისი კი ერთი წლის მანძილზე ამ ჯილდოს სამშობლოდ ითვლება) ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული, რომ პრიზმა მისამართი არ შეიცვალოს.

შარშანდელ ტურნირში თბილისის „დინამო“ პერსონალურად დაუშვეს, ვინაიდან მას სხვებზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა საკავშირო სარბიელზე, წლეულს კი უძლიერეს კოლექტივს სწორედ ლვოვის ტურნირი დასახელებს.

კლასიკური ჭიდაობა „დინამოში“ სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა. ამ საზოგადოების მოჭიდავეებს სამართლიანად უკავიათ წამყვანი ადგილი საბჭოთა კავშირში. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ დინამოელთა შარშანდელი წარმატებები. საქართველოს წარმომადგენლებმა ახალგაზრდა დინამოელთა საკავშირო ტურნირში II საპრიზო ადგილი დაიკავეს რუსეთის ფედერაციის შემდეგ. ასეთივე შედეგი ჰქონდათ ჭაბუკებს. რაც შეეხება უფროსთა ტურნირს, რომელიც „დინამოს“ საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა, აქ ჩვენმა მოჭიდავეებმა წინ გაუშვეს მხოლოდ უკრაინელები. სხვათა შორის, ამ ჩემპიონატში ახალგაზრდა თბილისელმა თ. წინწალაშვილმა მხოლოდ ფინალური შეხვედრა წააგო ევროპის ჩემპიონთან, კი

სპორტის ისტორიაში მეორე ასეთ მაგალითს ვერც მიაგნებთ. ძნელი, ძალზე ძნელი დასაჯერებელია, რომ 35 წლის ქალმა ასე ბრწყინვალედ მოიგოს ტურნირი, თანაც სამი შვილის დედამ.

ჰოლანდიელი ა. კეილენ-დეელსტრა მსოფლიოს საციგურაო სპორტში განუმეორებელი მოვლენაა. თავისი ბრწყინვალე ოსტატობა, საბრძოლო სული, შეუპოვრობა მან ერთხელ ჭიდევ დაამტკიცა მედეოში, ევროპული ჩემპიონატის დღეებში. დეელსტრა გახდა კონტინენტის აბსოლუტური ჩემპიონი და მოიგო ოთხიდან სამი დისტანცია. მხოლოდ ერთხელ, 3000 მეტრზე რბენაში დათმო მან პირველობა, მაგრამ ამ დროისთვის მრავალჭიდის ჯამში უკვე განაღდებული მქონდა გამარჯვება.

სურათზე: ა. კეილენ-დეელსტრა დისტანციაზე.

ახალი ამბები-74

● **კრაისტჩერჩი**, 7 თებერვალი. ავსტრალიელ სპორტსმენთა ტრიუმფით დამთავრდა ბრიტანული თამაშები, რომელიც ახალი ზელანდიის ქალაქ კრაისტჩერჩში მიმდინარეობდა. მწვანე კონტინენტის სპორტსმენებმა მოიხვეჭეს 29 ოქროს, 28 ვერცხლისა და 25 ბრინჯაოს მედალი. ინგლისელების ნადავლია 28, 31, 21. III ადგილზეა კანადის ნაკრები.

● **კალინინი**, 7 თებერვალი. გუშინ სტარტი აიღო პირველმა ქალთა საკავშირო შეჯიბრებამ ასუჯრიან შაშში, რომელშიც სსრ კავშირის 14 უძლიერესი სპორტსმენი თამაშობს. მონაწილეთა შორისაა არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატზე ორ ლობაში გამარჯვებული, მოსკოველი ე. მიხაილოვსკაია.

● **სალონიკი**, 7 თებერვალი. ევროპის რეკორდის მოზიარემ 100 მეტრზე რბენაში, ბერძენმა სპორტსმენმა ვ. პაპაგეორგოპულოსმა ამ ქალაქის დარბაზში გამართულ ასპარეზობაში 50 მეტრის დაფარვას 5,5 წამი მოანდომა.

● **გუდაკეშტი**, 7 თებერვალი. უნგრეთის დედაქალაქის „ოლიმპიურ დარბაზში" გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში 20 წლის ბირთვის მკვრელმა ქალმა მ. ადამმა (გდრ) მსოფლიოში საუკეთესო შედეგი მოიპოვა — 19,19 მ. ი. მაიორმა (უნგრეთი) გადალახა 216 სმ სიმაღლე, დ. სუმანმა (იუგოსლავია) კი 800 მეტრის გარბენას 1.48,8 მოანდომა.

კალათბურთი

კიდევ ერთი ახალი ტურნირი

ამ ტურნირის ჩატარების იდეა უკვე რამდენიმე წელია არსებობს. თავის დროზე კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ წინადადება წამოაყენა, რომ დაწესებულიყო ეროვნული თასის გათამაშება ევროპის ქვეყნებისთვის. ამ შეჯიბრების მიზანი ასეთია: გამოვლინდეს კონტინენტის თასის მფლობელი ნაკრები გუნდი, რომელსაც უფლება ექნება ძველი სამყაროს ინტერესები დაიცვას ჩრდილო- და სამხრეთ ამერიკის კონტინენტების თასების მფლობელებთან ბრძოლაში.

რამდენიმე დღის წინათ საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უ. ჯონსმა ოფიციალურად გამოაცხადა იმ გუნდების სია, რომლებმაც ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. ესენი არიან: საფრანგეთის, იტალიის, გფრ-ის, თურქეთის, საბერძნეთისა და იუგოსლავიის კოლექტივები. ეს სია, გენერალური მდივნის განცხადებით, ალბათ კიდევ გაიზრდება. მოსალოდნელია, რომ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ეროვნული ნაკრებიც.

შეჯიბრება დაიწყება 22 მაისს და 12 ივნისამდე გასტანს. სად, რომელ ქალაქში ჩატარდება იგი, ჯერ ცნობილი არ არის.

ტტტ — ნახევარფინალში

რიგა, 7 თებერვალი. დღეს აქ, სპორტის სასახლეში, გაიმართა ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური ტურნირის მატჩი. ადგილობრივმა ტტტ-მ მიიღო ბუქარესტის „პოლიტექნიკა".

რამდენიმე დღის წინათ მეტოქეები ბუქარესტში შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვება მაშინ საბჭოთა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 75:42. ტტტ-ს უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი იყო განმეორებითს შეხვედრაში—100:43.

როგორი მდგომარეობაა მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში, სადაც ტტტ თამაშობს? რიგელებმა უკვე ორი შეხვედრა მოიგეს და ბუდაპეშტის მტკ-სთან, დარჩენილი მატჩების შედეგების მიუხედავად, ნახევარფინალში თამაშის უფლება მოპოვებული აქვთ. ტტტ-ს აქვს 2 ქულა და გატანილ და მიღებული ბურთების ბრწყინვალე ბალანსი — 336:176.

ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს „პოლიტექნიკასაც", რომელმაც მანამდე ორი შეხვედრის ჯამში დაამარცხა ბუდაპეშტის მტკ — 151:127. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ითამაშებენ რუმინელი კალათბურთელები იტალიის „სტანდასთან".

ორიანი ნიშნავს... კარგს

„ბაიერნი" (მიუნჰენი) ახლა საამართლიანად ითვლება ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად. მის მოთამაშეებს ძალიან აქებს სპორტული პრესა.

გფრ-ის ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული მატჩის შემდეგ „ბაიერნის" მწვრთნელმა მოთამაშეებს ასეთი ნიშნები დაუწერა: მაიერს — 3, ბეკენბაუერს — 2, ჰანსენს — 2, შვარცენბეკს — 2, ბრაიტნერს — 2, როტს — 4, ცობელს — 3 (მეორე ტაიმში მის შემცვლელ ტორსტენსონს — 4), ჰიონსს — 2, დიურენბერგერს — 3, მიულერს — 2, ჰოფმანს — 4.

მკითხველთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ, გფრ-ში მიღებული წესის თანახმად, ერთიანი უდრის ხუთიანს, ე. ი. ფრიადს, 2 უდრის ჩვენებურ ოთხიანს, 3 — სამიანს, 4 ნიშნავს სუსტ თამაშს, „ორიანს" ხოლო 5 — ძალიან სუსტ თამაშს.

ვალკარეჯის აზრით...

იტალიის ნაკრების მწვრთნელი ფ. ვალკარეჯი უურნალისტებს ესაუბრა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის პრობლემებზე:

— დასავლეთ გერმანიის ტელევიზიით მოვისმინე, რომ ჰოლანდიის ნაკრები ბრწყინვალედ თამაშობს და თითქოს დასკვნითს ოთხეულშიც კი შეძლებს მოხვედრას გფრ-ის, იტალიისა და ბრაზილიის გუნდებთან ერთად. პროგნოზის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ მე არ ვეთანხმები ამ აზრს.

ჩვენს ჯგუფში იტალიის, ჰოლონდიისა და არგენტინის გუნდებს ერთნაირი შანსები აქვთ მეოთხედფინალის საგზურისთვ ის ბრძოლისა. ყველაზე თანაბარი ძალისაა მესამე ჯგუფი. ვიცი, რომ ჰოლანდიელები ფრიად ოპტიმისტურად არიან განწყობილი, მაგრამ მათ მხოლოდ მცირე უპირატესობას თუ მივაკუთვნებთ დანარჩენებთან შედარებით. შვედებს, ურუგვაელებსა და ბულგარელებსაც ასევე თამამად შეუძლიათ გავიდნენ მეოთხედფინალში. ცხადია, ბრძოლა ამ ჯგუფში შეუპოვარი იქნება.

რაც შეეხება იტალიელებს, ისინი უნდა გავიდეს მეოთხედფინალში, შემდეგ კი... ვნახოთ.

„იუვენტუსი", ოლონდ ბრაზილიიდან

ტოკიოში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ „იუვენტუსი" (ბრაზილია), „კონსტანცა" (რუმინეთი), იაპონიის პირველი და ოლიმპიური ნაკრები გუნდები.

სამივე მატჩის მოგების შემდეგ პირველ ადგილს დაეუფლნენ „იუვენტუსის" ფეხბურთელები. 3 ქულა მოაგროვა იაპონიის პირველმა ნაკრებმა, 2 — „კონსტანცამ" და 1 — იაპონიის ოლიმპიურმა ნაკრებმა.

ინგლისელთა ტურნე

ერავალი ინგლისელი მიმომხილველი გაკვირვებულია, რომ არაერთი სასტიკი მარცხის მიუხედავად ა. რამსეი კვლავ რჩება ეროვნული ნაკრების მწვრთნელად.

რამსეიმ დაგეგმა მორიგი ტურნე ევროპაში, შეხვედრები ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ახლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის ემზადებიან. 29 მაისს ინგლისელები ლაიპციგში ითამაშებენ გდრ-ის გუნდთან, 1 ივნისს — სოფიაში ბულგარელებთან და 5 ივნისს ბელგრადში — იუგოსლავიელებთან.

ფედერონცი რჩება

ვოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა მსოფლიო პირველობისთვის ეროვნული ნაკრების მზადების საკითხი.

ნაკრების მთავარ მწვრთნელად კვლავ ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტი დოქტორი ფ. ფედერონცი რჩება, თუმცა ფედერაციას ურჩევდნენ სხვა მწვრთნელებისთვის მიემართათ. ვენის გაზეთ „ფოლკსშტიმეს" ცნობით, ასახელებდნენ ავსტრიელ სპეციალისტებს სტასტნის, ჰაპელსა და შვარცს.

◆ **ვანილა**. როგორც ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ბიურომ განაცხადა, ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 26 ქვეყანა. ფილიპინების დედაქალაქში ასპარეზობა 21 სექტემბერს დაიწყება და 30-მდე გასტანს.

◆ **პარიზი**. გაიმართა პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი ევროპის ჩემპიონის ტიტულზე საუალო წონაში. ერთმანეთს ებრძოდნენ ამ ტიტულის მფლობელი ჟ. კეშიშიანი (საფრანგეთი) და ავსტრიელი ხ. ორსოლიჩი. გაიმარჯვა კეშიშიანმა.

◆ **ლონდონი**. ამას წინათ შეჯამდა ბრიტანული თამაშების შედეგები. I ადგილი დაიკავა ავსტრალიამ, რომელმაც მოიპოვა 20 ოქროს, 28 ვერცხლის და 25 ბრინჯაოს მედალი. II ადგილი ხვდა ინგლისს (შესაბამისად 28, 31, 21), III — კანადას (25, 19, 18), IV — ახალ ზელანდიას (9, 8 და 18).

◆ **ჰელსინკი**. დამთავრდა ჩრდილოეთის ქვეყნების კალათბურთელთა ტრადიციული ტურნირი. I ადგილი მოიპოვა შვეციის ნაკრებმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. სარკეორდო შედეგით აღინიშნა შვეციისა და ნორვეგიის გუნდების ორთაბრძოლა, შვედებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 125:42.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



მუჰამედ ალისთან დამარცხების შემდეგ კენ ნორტონმა (სურათზე) მიაშურა თავის საწვრთნელ ბანაკს მესეკ კანიონში (კალიფორნია): ძნელია ითქვას, შეხვდება თუ არა კიდევ კენი ალის რინგზე, მაგრამ კედლებზე მაინც გაკრული აქვს ერთი და იმავე შინაარსის წარწერები: „ალის დავამარცხებ!". „ამ წარწერების ყოველდღიურად დანახვა ძალას მმატებს მზადების პერიოდში", — განაცხადა ნორტონმა, 29 წლის გოლიათმა. პირველ შეხვედრაში ალისთან ქულებით გამარჯვებით კენმა განაცვიფრა სპეციალისტები, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ ლოსანჟელესში ასევე ქულებით წააგო მასთან. „დარწმუნებული ვარ, კვლავ შევხვდები ალის, — განაცხადა ნორტონმა, — ყველაფრის მიუხედავად, მე თაყვანს ვცემ ამ კაცს, რადგანაც მან კრივს მრავალფეროვნება და სილამაზე შემატა".

ნორტონი ყოველ საღამოს იხსენებს ალისთან ბრძოლების მომენტებს, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას შეცდომებზე და, რა თქმა უნდა, მუჰამედთან ახალი შეხვედრის იმედი აქვს.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, ჭიდილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02466